

# ჩემი გაზეთი

ბალდათის მუნიციპალიტეტი, ა. (ა.) ი. კ. ინფორმაციის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი

## ცვლილებები და მოსალოდნელი შედეგები

ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის არჩილ გოგსაძის პირველი ინტერვიუდან, რომელიც მისი დანიშნვიდან რამდენიმე დღეში შედგა, 5 თვე გავიდა. „ჩემი გაზეთი“ არჩილ გოგსაძეს ამ ხნის განმავლობაში განეულ სამუშაოსა და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ ესტუმრა.

### 1. უპირველესად როგორ განიზაციაზე გკითხავთ, რა ცვლილებები მოჰყვა ამ პროცესს?

ვთვლი, რომ როგორ განიზაციასთან დაკავშირებულმა საკითხებმა მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ ჩაიარა, დიდი ვნებათაღელვა და პერიპეტები არ მოჰყოლია ამ პროცესს. ცვლილებები განხორციელდა გამგებლის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში. ეს პროცესი ჯერჯერობით ისევე გრძელდება და უახლოეს პერიოდში, ალბათ, მისის ბოლოს, მთლიანად დასრულდება. ამჟამად ყველა ა(ა)იპ-ში (არასამეწარმეო, არაკომერციული), იურიდიული პირი) მიმდინარეობს აუდიტორული შემოწმება გამგებლის შიდა აუდიტის მიერ გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო პერიოდში აუდიტორული შემოწმება არ ჩატარებულა, შეიძლება ითქვას, ეს მიმართულება ჩავარდნილი იყო. აუდიტის სამსახური შემოწმების შედეგებს უახლოეს მომავალში დადებს და ამის საფუძველზე გამგებობას დაქვემდებარებულ ა(ა)იპებში გარკვეულ ღონისძიებებს გავატარებთ.

როგორ განიზაციაის შემდეგ ცვლილებები უკვე შეიმჩნევა, მაგალითად, დასუფთავების მიმართულებით. კომუნალური გაერთიანების გამართული მუშაობა შეეცყო კიდევ ქალაქს. დასუფთავების საკითხ ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ამ მხრივ მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა საჭირო. სოფლებში გარეშე პირი არ მიდის და არ აბინძურებს გარემოს, ამას ისევე ადგილობრივები აკეთებენ. სწორედ

ამიტომ, დიდი სურვილი გვაქვს, ჩავრთოთ მოსახლეობა ამ პროცესებში, მივანოდოთ ინფორმაცია გარემოს დაბინძურებასა და შემდგომში მოსალოდნელ საჯარო სასაქონლო-სახურს.

ძალიან კარგად მუშაობს და მადლობა მინდა გადაუხადო ზედამხედველობის სამსახურს. პირველ ეტაპზე ამ სამსახურის წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობენ ყველა გააფრთხილონ, რომ შესაბამისი საქმიანობისთვის ლიცენზია სჭირდებათ, თუკი რამე ხარვეზი აქვთ, გამოასწორონ, ვინაიდან უახლოეს მომავალში ზედამხედველობის სამსახური უშუალოდ მისი ფუნქციების შესრულებაზე გადავა და შესაბამისი აქტებით მოხდება ჯარიმების გამოწერა.

სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებთან დაკავშირებითაც ცვლილებები მოხდა. მოვახდინეთ ფუნქციების დელეგირება. წარმომადგენლებს გადავეცით გარკვეული დოკუმენტაციის გაცემის უფლება. ამისათვის ყველა წარმომადგენელს გადაეცემა კომპიუტერული ტექნიკა, უზრუნველყოფილი იქნებიან ინტერნეტით და ჩვეულებრივ ელექტრონული სისტემით ადგილზევე შეიძლება ნებისმიერი განცხადებისა თუ ცნობის გაცემა, ხოლო რაც გამგებლის პრეროგატივა იქნება, ის ელექტრონულადვე აიტვირთება საერთო სისტემაში. ამით გამჭვირვალობაც დაცული იქნება და მოსახლეობისთვისაც კომფორტული გარემო შეიქმნება.

### 2. რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება 2017 წელს?

წელს იგეგმება 5 მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით. პროექტებზე უკვე გამოცხადებულია ტენდერი, რომელსაც გარკვეული დრო დაჭირდება. პროექტების განხორციელება მისის პირველი რიცხვებიდან დაიწყება. 2017 წელს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება: სოფელ ფერსათის წყლით მომარაგება. ასევე მნიშვნელოვანია ამ პროექტში შუბნის ჩართვა, მაგრამ ჯერ კიდევ ვფიქრობთ, რამდენად შევძლებთ საკუთარი ხარჯებით ამის განხორციელებას. სოფელ ოზჩაში გაკეთდება შიდა საუბნო გზების გარკვეული ნაწილი. პროექტი გარდამავალია და შესაბამისად, მომდევნო წელსაც გაგრძელდება. ფერსათის წყლით მომარაგების პროექტის გარდა ყველა პროექტი გარდამავალია. სოფელ დიშში, ენრის მიმართულებით გაკეთდება გზა, ასევე ფერსათში, სალხინოს ეკლესიასთან მისასვლელი გზის მონაკვეთი. გაგრძელდება ნიფა-საკრაულას 4 კილომეტრიანი გზის მოასფალტება.

მაქსიმალურად ვცდილობთ შევაკეთოთ შიდა საუბნო გზები. კომუნალურმა სამსახურმა დიდთოვლობის დროს საკმაოდ ინტენსიურად და მუხლჩაუხრელად იშრომა და მათი მონესრიგება შევაკეთეთ ხანის მიმართულებით მიმავალი გზა, ამჟამად ტექნიკა სოფელ ოზჩაში მუშაობს, უახლოეს პერიოდში ფერსათში გაგრძელდება სამუშაოები და შემდეგ სხვა სოფლებშიც მოწესრიგდება შიდასაუბნო გზები. ვცდილობთ, რომ ყველა სოფელმა მინიმალური, მაგრამ რაღაც სიკეთე იგრძნოს.

### 3. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მუნიციპალიტეტის გამგებობამ სტიქიით



დაზარალებულ მოსახლეობას გარკვეული დახმარება გაუნია, გვესაუბრეთ ამის შესახებ.

განახლებულმა ინფრასტრუქტურულმა სამსახურმა ბოლო პერიოდში საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია. დავასრულეთ სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები. მოგესწინებთ, გამგებობამ 11 ახალი სახლი აუშენა ბენეფიციარებს, ვისი საცხოვრისიც გამოუსადეგარი იყო შემდეგი ექსპლუატაციისათვის და ძირითადად აქცენტი გაკეთდა სოციალურად დაუცველ, შეჭირვებულ ფენებზე, მრავალშვილიან ოჯახებზე. სამუშაოები ახლახან დასრულდა და მიმდინარეობს მიღება-ჩაბარება. შენობების გარკვეულ ნაწილს სახურავები შეუკეთდა, ეს პროექტიც შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. უახლოეს პერიოდში გვეგმავთ ქალაქის ცენტრში არსებული ორი დიდი მოედნის რეაბილიტაციას.

გამრძელება მე-2 გვ.

## ბალდათი-ლისომიცა: თანამშრომლობის მემორანდუმი



დღეს ბალდათის მუნიციპალიტეტსა და პოლონეთის ქალაქ ლისომიცეს შორის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. კუიავო-პომერანიის სავოევოდოს 8-ათასიანი ქალაქის დელეგაცია, მერის, იქაური საკრებულოს თავმჯდომარისა და ოთხი დეპუტატის შემადგენლობით დილით ესტუმრნენ ბალდათის გამგებობას. გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ გოგსაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ

გრიგოლ მაჩიტაძემ და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილემ იოსებ ხახალეიშვილმა გულთბილი დახვედრა მოუწყვეს სტუმრებს. გაცნობისა და სიმბოლური საჩუქრების გაცვლის შემდეგ, ბალდათისა და ლისომიცეს თავკაცებმა მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

დღის განმავლობაში პოლონელმა სტუმრებმა მოინახულეს ბალდათის ცენტრალური ბიბლიოთეკა, ვ.ვ. მაიაკოვსკის

სახელობის სახლ-მუზეუმი. ვანისა და ბალდათის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე ანტონმა პოლონელები რეზიდენციაში ისტუმრა. მასპინძლებმა ლისომიცელებს ქართული ლვინოებიც დააჭაპნიკებინეს სოფელ ოზჩაში, სვიმონ ჩხეიძის მარანში, იქ ნანახით სტუმრები ფრიად კმაყოფილი დარჩნენ. დღის ბოლოს ახალდამეგობრებულებმა და ბალდათი-ხარაგაულის მათროიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა სოფელ როკითში ფერისცვალების ტაძარი მოინახულეს და ტაძრის ისტორიას გაეცნენ. მეორე დღეს პოლონური დელეგაცია მოლაშქრეთა კლუბის „დიდმალი“-ს სტუმრები იყვნენ. სოფელ მამანეთში სალაშქრო ბანაკის დათვალიერებისა და კლუბის საქმიანობის გაცნობის შემდეგ პოლონელებმა და მასპინძლებმა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივაზე ისაუბრეს.



ბალდათის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბალდათის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა (უფროსი კოტე ჯავახია, მთავარი სპეციალისტები ნინო ბუხუელიშვილი და ია სხილაძე) 20 აპრილს ოცამდე ბალდათელ ფერმერს მეთად საინტერესო აგროტური მოუწყო. ფერმერებმა სპეციალისტების კონსულტაციების თანხლებით შპს „მოცვის პლანტაციები“, შპს აგროლეინი, კომპრეტივი „ვაზის სანერგე მეურნეობა“, შპს „ვარციხის მარანი“, წყალტუბოში ამერიკული კაკლის (ჩანდლერი) და კულტურული (უეკლო) მაყვლის პლანტაციები დაათვალიერეს. ასეთი აგროტურები ყოველთვიურად იგეგმება, გარდა ამისა, ზემოთხსენებული პროგრამით საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური შემდეგ მომსახურებას სთავაზობს დაინტერესებულ პირებს.

– ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევა,

# ა ბ რ ო ტ უ რ ი

მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ ორგანოში, ორ განსხვავებულ უბანზე;

– სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისა და აღნიშნულ სფეროში თანამედროვე მეთოდების დანერგვის მიზნით ექსპერტების მოწვევა და ფერმერთა დატრენინგება;

– საქართველოს ტერიტორიაზე არსებული თანამედროვე ფერმერულ მეურნეობებში და მუნიციპალიტეტის არატრადიციულ კულტურათა ფართობებში საჩვენებელი აგრო-ტურების მოწყობა დაინტერესებულ ფერმერთათვის.

– მეცხოველეობაში ფურის სანველი აპარატების გადაცემა წარმატებულ მეცხოველე ქალბატონებზე, მათი წახალისების მიზნით.

– ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლებისა და პრევენტიციების ჩატარების მიზნით პროექტორის და პროექტორის დაფის შექმნა.

**მაისი – გურია**

ჩოხატაური – წვეწების გადამამუშავებელი ქარხანა, ჩირის საშრობი, საკალმახე მეურნეობა ( ჩხატაურა), გურიანთის ჩაის

ზუგდიდი – „დარჩელის თხილი“, იტალიური ჯიშის თხილის პლანტაციები;

აბაშა – სანერგე მეურნეობა;

**ივლისი – აჭარა**

ქობულეთი – აგრო სერვის ცენტრი, სასათბურე კომპლექსი, მოცვის სანერგე მეურნეობა, ციტრუსი;



ფაბრიკა; ასკანელის ვაზის სანერგე (ასკანა);

ოზურგეთი – მოცვის პლანტაცია (ნარუჯა), მეცხოველეობის ლაბორატორია (ცენტრში), გურიანთის ჩაის ფაბრიკა, ანასეულის ლაბორატორია, აგარაული უნივერსიტეტის კამპუსი, საკალმახე (ვაკიჯვარი)

ლანჩხუთი – ჩაის ფაბრიკა, ჩაის პლანტაციები

**ივნისი – იმერეთი, სამეგრელო**

ვანი – თაფლის სანარმო, თხილის ქარხანა

სამტრედია – იმერეთი გრინერი, რძის სანარმო;

ხოზი თხილის ქარხანა

ქედა – ხილის გადამამუშავებელი სანარმო „ნენა“, საკალმახე მეურნეობა, ყურძნის გადამამუშავებელი ქარხანა;

**აგვისტო – მცხეთა (ჯილაურა)** – ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრი, გურამიშვილის მარანი, ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმი;

**სექტემბერი – კახეთი**

ზეთისხილის, ნუშის, თხილის ბალები, ვენახები, მეცხოველეობის კომპლექსი.

**ოქტომბერი – რაჭა**

რაჭა – ამბროლაური – ხილის გადამამუშავებელი, ხვანჭკარის ღვინის ქარხანა, თაფლის გადამამუშავებელი, ღორის შესაბოლი სანარმო.



## ფ ლ ე ქ ს ა მ დ ე   დ ა   ფ ლ ე ქ ს ი ს   შ ე მ დ ე მ

თუ ვინმე მკითხავს, თუ რა ეტაპებად ვყოფ ჩემს ცხოვრებას, აუცილებლად ვუპასუხებ: „ფლექსამდე და ფლექსის შემდეგ.“ FLEX (Future Leaders Exchange Program) არის გაცვლითი პროგრამა, რომლის გამარჯვებულები მიემგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი სასწავლო წლით, მათ სწავლას ამ ხნის განმავლობაში ამერიკის მთავრობა აფინანსებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლა იყო უდიდესი გარდატეხა ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, ასევე მოსწავლისათვის, რადგან მივიღე ძალიან დიდი გამოცდილება და შევიძინე მნიშვნელოვანი და აუცილებელი უნარ-ჩვევები. ჩემი ქვეყნისაგან განსხვავებული განათლების სისტემა, კულტურა, განვითარება, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთმანეთთან დამოკიდებულება – ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმისა, რის გამოც გასული სასწავლო წელი ასეთი მნიშ-

ვნელოვანი და საინტერესო იყო ჩემთვის. ფლორიდის შტატის ერთ-ერთ ქალაქში, სარასოტაში, ვცხოვრობდი და ვსწავლობდი სამხრეთ პორტის სკოლაში. პირველ რიგში, მოგიხსრობთ ამერიკულ სკოლაზე: ეს იყო მრავალფეროვანი, ინოვაციური ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო დაწესებულება, სადაც არ იცინა რა არის ხის დაფა და ცარცი. დღეში 8 გაკვეთილი მქონდა, თითო 45 წუთიანი. ყოველ დღით ექვსის ნახევარზე ვიღვიძებდი, რადგან სწავლა შვიდის ნახევარზე იწყებოდა. ჩემს სკოლაში 2500 მოსწავლე სწავლობდა, მაგრამ მიუხედავად მათი სიმრავლისა, იქ ყოველთვის მშვიდი, სასიამოვნო და ჰარმონიული გარემო სუფევდა, რასაც ურთიერთპატივისცემა განაპირობებდა. ყოველ დღით, სწავლის დანაშაულებს, ყველა მოსწავლე ვალდებული იყო გულზე ხელდადებულს ამერიკის დროშის წინაშე ფიცი (Pledge Allegiance) ეთქვა (რაც მე დიდად არ მომწონდა).



არჩევანს სთავაზობს მოსწავლეებს, ამიტომ ყველას აქვს შესაბამისი გარემო და შესაძლებლობა თვითრეალიზებისათვის.

რაც შეეხება ოჯახს, მასპინძელ დედამამსთან და 9 წლის დასთან ერთად ვცხოვრობდი. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ თავი მაქსიმალურად კომფორტულად მეგრძნო და კარგი გამოცდილება მიმელო, მაგალითად, შობის არდადეგების დროს კრუიზით წავედით ბაჰამის კუნძულებსა და მექსიკაში. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მოგზაურობა ჩემს ცხოვრებაში. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ოლივერებს, რადგან მიმიღეს ისე, როგორც ოჯახის ნამდვილი წევრი.

ერთ-ერთ კონკურსში მონაწილეობისა და გამარჯვების შემდეგ ფლორიდის შტატიდან გავემგზავრე ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში

და დავესწარი სამოქალაქო განათლების „ვორკშოპს“, რომლის ფარგლებში შევხვდი ამერიკის ფედერალური მთავრობის წარმომადგენლების კონგრესში. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ვესტუმრე სხვადასხვა მუზეუმს, მემორიალსა და ისტორიულ ადგილს, დავესწარი NBA-ის All Star-ის კალათბურთის თამაშს.

ძალიან ბევრი ფურცელი დაჭირდება ყველაფერ იმას, რისი თქმაც მინდა, ამიტომ მოკლედ ვიტყვი, რომ ეს წელი ყოველთვის განსაკუთრებული და სასიამოვნოდ მოსაგონებელი იქნება ჩემთვის. ყველა მე-9, მე-10 და მე-11 კლასელს ვურჩევ, რომ მონაწილეობა მიიღოს FLEX-ში, რადგან ის გვაძლევს განსხვავებული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას.



**ანრი აბულაძე,**  
ღმის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე

დასაწყისი მე-1 მკ.

4. მარტის ბოლოს თქვენ იმყოფებოდით კიევში ტურისტულ ბაზრობაზე, როგორ ჩაიარა ვიზიტმა და რა ნაბიჯები გადაიდგა ტურიზმის განვითარების კუთხით?

კიევის საერთაშორისო ბაზრობაზე ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ჩვენთან ერთად იქ იმყოფებოდნენ ბალდათის საოჯახო მარნების ასოციაციის წარმომადგენლები, რომლებსაც თავიანთი პროდუქცია ჰქონდათ წარმოდგენილი. ჩვენ ბალდათის ტურისტულ ინფრასტრუქტურასა და პოტენციალთან დაკავშირებული მასალები წარვადგინეთ. პირველივე დღეს დიდი ინტერესი იყო ჩვენ მიმართ. ტურისტულ ბაზრობაზე 2 დღე ვიმყოფებოდით და ამ პერიოდის განმავლობაში არ შენელებულა დაინტერესებულ პირთა ნაკადი.

კავშირები დავამყარეთ საქართველოს წყალგამარბობის ფედერაციასთან. ჩვენთან იმყოფებოდა მისი პრეზიდენტი დავით ქაცარავა. მისის ბოლოს ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად ვგეგმავთ სატესტო ტურს, რომელიც ასევე გაიმართება ზაფხულსა და შემოდგომაზე, რათა ზუსტად შეირჩეს მარშრუტები.

ძალიან საინტერესო იყო ბელორუსი სტუმრების ვიზიტი ბალდათში. მათ ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში გამართეს იანკა კუპალას სახელმწიფო მუზეუმის პრეზენტაცია. ისინი გაეცნენ ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში არსებულ მდგომარეობას, იქ მიმდინარე სამეცნიერო პროცესს, რამაც დიდი მონონება დაიმსახურა. ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მინსკში მიწვევაც მივიღეთ და ასეთი შემთავაზებაც იყო, რომ მათ აქვე დიდი საექსპოზიციო სივრცე და იგი შეიძლება დაუთმონ ბალდათის მუნიციპალიტეტს, სადაც შეიძლება გამოიფინოს არა მარტო ვ. მაიაკოვსკის შემოქმედება, არამედ ბალდათის მუნიციპალიტეტმა თავისი თავი წარმოაჩინოს და ბელორუსის მოქალაქეებმა გაიცნონ ბალდათი უფრო ახლოს. ჯერჯერობით მწირი, მაგრამ უკვე არსებობს პოტენციალი იმისა, რომ ჩვენ დავინყოთ ტურისტების მიღება ბალდათში.

პოლონეთის ქალაქ ლისომიცესთან გავაფორმეთ მეგობრობისა და ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი. პოლონეთს ლიდერი პოზიცია უკავია ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობაში და საკმაოდ აქტიურადაა ჩართული ევროკავშირის ძალიან ბევრ პროექტში. იმედი მაქვს, მათი თანადგომით ჩვენც შევძლებთ, რომ ინტეგრაცია ევროკავშირის სივრცეში მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გავხადოთ ბალდათელებისთვისაც.

5. გვესაუბრეთ სოფლების გაზიფიცირების შესახებ?

ინტენსიურად ვაგრძელებთ მოლაპარაკებას სოკარ ჯორჯია გაზთან. ძირითადი სოფლების გაზიფიცირება უკვე მთავრდება, უახლოეს მომავალში დასრუდება ობჩისა და წითელხევის გაზიფიცირება. დიდი თემებიდან გვრჩება ნერგეთი და შუბანი, უკვე მიგნერეთ კომპანიას, რომ მომავალი წლისთვის მომზადდეს პროექტი და 2018 წლის გეგმაში ჩაისვას ისინი. დაგვრჩება რაიონისგან შედარებით მოშორებული ზეგანი-საკრალასა და ხანის თემი. იმედი გვაქვს, რომ ნელ-ნელა ამ სოფლებშიც მოვახერხებთ გაზის მიყვანას.

ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით და ვცდილობთ, რომ გადავახალისოთ არსებული მდგომარეობა, ხალხსაც ნაკლები პრობლემა შევუქმნათ და ვაგრძნობინოთ გვერდით დგომა და ხელისუფლების მხარდაჭერა. ვიმედოვნებთ, ამ პროცესებში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა იქნება. მათ შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ მიმდინარე პროცესებში. ჩვენ ყველა ინიციატივას გვერდით დავუდგებით.

ანა ქორიძე,  
მარიამ ოპროტელიძე

ვაზის მეურნეობა-კოსტაყაულები ეს მათ ჩინსაქმევე ბრძოლას

ვაზის მოვლას ქართველი კაცი უძველესი დროიდან მისდევს, შესაბამისად, მევენახეობა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. საქართველოში ვაზის 500-მდე ადგილობრივი ჯიშია დაფიქსირებული.

გაზაფხულიდან შემოდგომაამდე მევენახეებს საკმაოდ რთული გზა აქვთ გასავლელი, ჩასატარებელ მრავალ აგროტექნიკურ ღონისძიებათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ვაზის დაცვა სოკოვანი დაავადებებისა და მავნებლებისაგან, რის გარეშეც წარმოდგენილია ყურძნის უხვი და ხარისხიანი მოსავლის მიღება. ინტეგრირებული, კომპლექსური ბრძოლის მეთოდებიდან ყველაზე ეფექტურად ქიმიური მეთოდი ითვლება, მაგრამ, შეძლებისდაგვარად, უნდა შეირჩეს ისეთი პრეპარატები, რომლებიც მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ მაღალ ეფექტურობასთან ერთად ნაკლებად ტოქსიკური იქნება სასარგებლო ორგანიზმებისა და ადამიანისათვის, ამასთან, ნაკლებად დააბინძურებენ ბიოსფეროს.

ვაზის ძირითადი დაავადებებია: ვაზის ჭრაქი, ნაცარი, ანთრაკნოზი, ნაცრისფერი და შავი სიღამპლე.

ძირითადი მავნებლებია: ბუკნა ანუ



კვირტის ჭია, ფქვილისებრი ცრუფარიანა, აბლაბუდის ტკიპა, ყურძნის ჭია, მეგალე ტკიპა, ამიერკავკასიის მარმარა ღრეჭა.

სოკოვანი დაავადებებთან საბრძოლველად საჭიროა 7-8 წამლობა, ხოლო მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები უნდა ჩატარდეს მათი გავრცელების შემთხვევაში. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე კომბინირებულ ნაზავში სპეციალური პრეპარატების (ინსექტიციდის ან აკარიციდის) შერევით, ან მათი ცალკე შესხურებით. წამლობა უნდა ჩატარდეს წყნარ, უქარო ამინდში, ხსნარი უნდა განაწილდეს თანაბრად, განსაკუთრებით უნდა შეინამლოს ფოთლის ქვედა მხარე და ნაყოფი.

პირველი წამლობა ტარდება კვირტების დაბერვისას ვაზის ნაცრისა და ტკიპების წინააღმდეგ სპილენძის შემცველი პრეპარატებით.



მეორე წამლობა ტარდება ფოთლების გაშლისას ტკიპების წინააღმდეგ, ამ დროს საჭიროა შევწამლოთ აკარიციდით ან ინსექტოაკარიციდით.

მესამე წამლობა ტარდება 3-4 ფოთლის ფაზაში ჭრაქისა და შავი ლაქიანობის წინააღმდეგ, წამლობა საჭიროა ჩატარდეს ფოთლების გაშლისას ტკიპების წინააღმდეგ, ამ დროს საჭიროა შევწამლოთ აკარიციდით ან ინსექტოაკარიციდით.

არდეს კონტაქტური ფუნგიციდით. მეოთხე წამლობა ტარდება 7-8 ფოთლის ფაზაში ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ, ასევე საჭიროა ამ პერიოდში მცენარეში მიიღოს ფოთლოვანი კვება.

მეხუთე წამლობა საჭიროა ყვავილების დასაწყისში ჭრაქის, ნაცრისა და ყურძნის ჭიის წინააღმდეგ.

მეექვსე წამლობა და მე-7 წამლობა შეიძლება იგივე პრეპარატებით, კარგ შედეგს იძლევა ფოთლოვანი კვების დამატებაც.

მე-8 წამლობა ტარდება ისრიმობისა და ნაცრისფერი სიღამპლისა და ყურძნის ჭიის წინააღმდეგ.

შესაწამლი პრეპარატების დამზადებაზე მრავალი ქვეყნის სხვადასხვა კომპანია დასაქმებული, მაგრამ ფერმერებმა უნდა იცოდნენ, რომ პესტიციდების ინდუსტრია სწრაფად ვითარდება და საჭიროა თვალყურის დევნება იმ სიახლეებზე, რომლებიც იქმნება ამ დარგში.

ინო ბუსულიშვილი,  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს  
ბალდათის მუნიციპალიტეტის  
საინფორმაციო-საკონსულტაციო  
სამსახურის მთავარი სპეციალისტი

თხილის კვირტის ტკიპა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები

თხილის კულტურაზე საქართველოში 100-ზე მეტი სახეობის მავნებელი და 20 სხვადასხვა დაავადებაა დაფიქსირებული. მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები უნდა ჩატარდეს კომბინირებული მეთოდების (აგროტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ქიმიური) კომპლექსურად გამოყენებით. უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს ბალის მოვლის აგროტექნიკური სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებას. შემოდგომაზე მათის პერიოდში ან ადრე გაზაფხულზე აუცილებელია მექანიკურად დაზიანებული, ხმელი, სუსტად განვითარებული ტოტების შეჭრა, შეგროვება და განადგურება. ამასთანავე ძირების შემობარვა-მინის შემოყრა, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, შტამბის და დედა ტოტების კირით შეთეთრება, ჰერბიციდების გამოყენება სარეველა ბალახების წინააღმდეგ.

მავნებელთაგან განსაკუთრებით დიდი ზიანის მომტანია კვირტის ტკიპა, რომელიც თეთრი ფერის 0,22 მმ სიგრძის მწერია, მისი შეუიარაღებელი თვალით დანახვა შეუძლებელია, თუმცა კარგად არის შესამჩნევი მისი მავნეობის შედეგად დეფორმირებული თხილის კვირტი, რომელიც ხშირად თავისი ფორმისა და ფერის გამო ფერმერს თხილის ყვავილი ჰგონია.

ტკიპა შიგნიდან აზიანებს გაუშლელ, ახლად ფორმირებულ კვირტს, რის შედეგადაც კვირტი იზრდება ზომამი და ფორმას კარგავს, იძენს მოწითალო შეფერილობას. მარტში იმავე კვირტებში დებს კვერცხებს. გაზაფხულზე მდებრი ტოტებს დეფორმირებულ კვირტს, იჭრება ახალგაზ-

რდა ფოთლებში და დებს კვერცხებს. კვერცხიდან ზრდასრული ფორმები გამოდიან ივნის-ივლისში.

სავეგეტაციო პერიოდში ტკიპა 6-7 თაობას იძლევა.

კვირტის ტკიპის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიკური ღონისძიებებია ზამთრის მიწურულს ან ადრე გაზაფხულზე დაზიანებული კვირტების ხელით შეცლა, შეგროვება და განადგურება (დანვა), არ შეიძლება მისი კომპოსტში გამოყენება, ან იქვე, თხილის ბაღში დაყრა.

ქიმიური წამლობა რეკომენდირებული



და ეფექტურია მაშინ, როდესაც ტკიპები ფოთლისა და ყლორტის ზედაპირზე იმყოფებიან.

პირველი წამლობა ტარდება მარტში, მეორე წამლობა აპრილ-მაისში და მესამე მაკორექტირებელი წამლობა ივლისში, წამ-

ლობისათვის გამოიყენებააკარიციდები, ან ინსექტოაკარიციდები (მასაი, ომაიტი, ენვიდორი და სხვა).

ბოლო წამლობა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა ჩატარდეს დეკემბრის თვეში, პირველი სიცივის დადგომამდე (დაბალ ტემპერატურაზე იყენებენ აკარიციდს-მასაი).

თხილის კულტურა ძალიან მგრძობიარეა ქიმიური პრეპარატების მიმართ, ამიტომაც პესტიციდების გამოყენებისას აუცილებელია სპეციალისტის ან ეტიკეტზე მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

ია სხილაძე,  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს  
ბალდათის მუნიციპალიტეტის  
საინფორმაციო-საკონსულტაციო  
სამსახურის მთავარი სპეციალისტი

## „მწვანე სკოლის“ წოდება როკითის საჯარო სკოლას

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის №1 საჯარო სკოლის დიდ დარბაზში გაიმართა სახვეწარფინალი პროექტისა „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2016“, რომელშიც იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონის საჯარო სკოლები მონაწილეობდნენ. სასკოლო გუნდების ლიდერებმა თავიანთი გარემოსდაცვითი აქტივობები ეკო მიმართულებისა და პრევენციების საშუალებით წარმოადგინეს. კომპეტენტურმა ჟიურმა 4 ფინალისტი გამოავლინა: სოფელ როკითის საჯარო სკოლა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა და ფინალში წარმოადგინა იმერეთი, ჭიათურის №1 საჯარო სკოლა (იმერეთი), სოფელ დარკვეთის საჯარო სკოლა (იმერეთი), ბაზალეთის საჯარო სკოლა. როკითის საჯარო სკოლიდან პრევენტივითა და ეკოსპიკერი წარმოადგინეს X-XI კლასის მოსწავლეებმა. გუნდის წევრები არიან: ნანა ლაბაძე, ნინო ზივზივაძე, მარიამ ბრეგაძე, ნია მიქაძე, ქეთი კვიციანი და გოგა გორგოძე. პროექტს ხელმძღვანელობდნენ როკითის საჯარო სკოლის პედაგოგები მარინა ხარძიფილი და მაია აბდალაძე. კონკურსმა დიდი მღელვარებით ჩაიარა. მონაწილეებმა პროექტის ფარგლებში პარტნიორ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უამრავი გარემოსდაცვითი აქტივობა ჩატარეს, მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მუნიციპალიტეტებთან, გაამწვანეს სკოლის ტერიტორიები, გამოუშვეს გაზეთები. მონაწილე სკოლებს სპონსორებმა საჩუქრები გადასცეს, ამით პატარა ეკოლოგებს სტიმული მიეცათ პროექტის მომდევნო ეტაპში აქტიურად ჩართულობისთვის.

პროექტის ფინალი გაიმართა ტყის საერთაშორისო დღეს, 2017 წლის 21 მარტს, სადაც „ნიკო კეცხოველის პრემიის“ მფლობელი სკოლები და „ფოტო სინთეზი 2017-ის“ გამარჯვებულები გამოვლინდა. ფაბრიკას საგამოფენო სივრცეში ახალგაზრდული კონკურსის შემავალი ღონისძიება გაიმართა. ნიკო კეცხოველის სასკოლო, გარემოსდაცვითი კონკურსის დასკვნით ნაწილში მონაწილეობას მთელი ქვეყნის მასშტაბით შერჩეული 23 სკოლა იღებდა.



მათ საკუთარ რეგიონებში შეძლეს გამარჯვება და საუკეთესოები იყვნენ მთელი კონკურსის მიმდინარეობის მანძილზე. ფინალური ტური ორ ეტაპად მიმდინარეობდა. როკითის საჯარო სკოლის მოსწავლეების – ნანა ლაბაძისა და ნინო ზივზივაძის მიერ ჩატარებულმა პრევენტივითა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჟიურზე. როკითის სკოლამ წინ გადაუსწრო ბევრ მონაწილეს სკოლას და მოხვდა საუკეთესო ხუთეულში საქართველოს მასშტაბით. სკოლას მიენიჭა „მწვანე სკოლის“ წოდება და გადაეცა მწვანე სკოლის დროშა.

კონკურსის ორგანიზატორები არიან: CENN, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ინიციატივა ხორციელდება პროექტის „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ ფარგლებში, ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისთვის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით. კონკურსი იყო უნიკალური შანსი სკოლებისათვის (მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის) წარმოეჩინათ საკუთარი თავი, დაგეგმონ და განახორციელონ „მწვანე აქტივობები“ და ამგვარად შეიტანონ გარემოსდაცვითი კომპონენტი საგანმანათლებლო პროცესში. ნიკო კეცხოველის I, II და III პრემიასთან ერთად, დაწესებული იყო უამრავი პრიზი როგორც ორგანიზატორებისგან, ასევე პარტნიორი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებისგან.

ანა ძორიძე

## ბაღდათის სალოტბარო სკოლა

ბაღდათის სალოტბარო სკოლა 2016 წლის მარტის ბოლოს შეიქმნა. ის არის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა ბაღდათში და ქართული ფოლკლორის, კერძოდ, ქართული ტრადიციული სიმღერისა და ქართული გალობის შესწავლას უზრუნველყოფს. შესაბამისად, სკოლაში მონაწილეობის გარდა, ლოტბარი (ლევან გერსამია), ასევე რეგენტი (ზურა გოგოლაძე) და დაარსებდან დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს.

სალოტბარო სკოლაში სწავლება უფასოა. ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია მისვლა, რომლებიც გამოსაცდელი პერიოდის დასრულების შემდეგ გადამწიფდებიან კლასებში. თავდაპირველად სკოლაში 70 მოსწავლე იყო, მაგრამ გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ 25 მოსწავლე დარჩა, თუმცა 1 აპრილიდან ახალი მოსწავლეების მიღება დაიწყო და მათგან, ვინც გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ჩაირიცხება სალოტბარო სკოლაში.

ბაღდათის სალოტბარო სკოლა სამი კლასითაა წარმოდგენილი: მცირეწლოვანი ვაჭების, გოგონათა და უფროსი თაობის ვაჭების კლასები. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლაში იგეგმება სოფლმეურნეობის სწავლება. სალოტბარო სკოლის დაარსების მიზანი იყო ახალგაზრდებში სწორი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება. სკოლა განთავსებულია ბაღდათის ახალგაზრდულ ცენტრში და მეცადინეობა კვირაში სამჯერ ტარდება. სკოლას მეთოდოლოგიას საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი უდგენს და ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდის ბიუჯეტიდან ფინანსდება. მის დაფუძნებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს – კახა გოგნაძეს. ბაღდათის სალოტბარო სკოლის საქმიანობის შესახებ სწორედ მან გვიამბო. სკოლას, სამსახურეობრივი თვალსაზრისით, ზედამხედველობას აღნიშნული სამსახური უწევს.

მნიშვნელოვანია ის, რომ სკოლის კურსდამთავრებულს, თუ სურვილი ექნება, შეუძლია სწავლა გააგრძელოს გიორგი მთაწმინდელის სახელობის უმაღლეს სასწავლებელში (იგი აკრედიტებულია და სწავლა უფასოა), მისი დამთავრების შემდეგ, თავის რაიონში დაბრუნების შემთხვევაში, კურსდამთავრებულს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი სტიპენდიას უნიშნავს და სალოტბარო საქმიანობას თავის კუთხეში აგრძელებს.

დებულებით გათვალისწინებულია, რომ წელიწადში ერთხელ სალოტბარო სკოლამ მონიტორინგი უნდა გაიაროს. მის დასადგენად, რამდენად სწორად მიმდინარეობს სკოლაში სწავლება, 29 მარტს ბაღდათის სალოტბარო სკოლას ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე ესტუმრა და სკოლის აღსაზრდელებს მოუსმინა. მონიტორინგის დასრულების შემდეგ, „ჩემი გაზეთის“ გუნდი ბატონ გიორგის ესაუბრა და ბაღდათის სალოტბარო სკოლის მუშაობის შეფასება სთხოვა.

გიორგი დონაძე: „ჩვენი ვიზიტის მიზანი სალოტბარო სკოლის მოსმენა იყო. მართალია, ჩვენი წარმომადგენლები რამდენჯერმე იყვნენ სკოლაში ჩამოსულნი და თვალს ადევნებდნენ სკოლის საქმიანობას, მაგრამ პირადად მინდოდა გავცნობოდი ყოველივეს. ძალიან კმაყოფილი ვარ, კარგად მუშაობენ პედაგოგები და, ვფიქრობ, რომ მალე დიდ შედეგებს დავდებთ.“

პედაგოგებმა კარგად იცინა, რა უნდა გააკეთონ, ისინი პროფესიონალები არიან, ჩემი რეკომენდაცია იქნება მხოლოდ ის, რომ ადგილობრივი რეპერტუარის სწავლება გაძლიერდეს. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლების სიმღერები უნიკალურია. ჩვენ ჩანანერები თავი დავებნარებით პედაგოგებს და მომავალში ადგილობრივი სიმღერების შესწავლა უფრო მოხდება, ვიდრე ვანისა და სამტრედიის ვარიანტებისა.“

ბაღდათის სალოტბარო სკოლის უფროს ვაჭთა ჯგუფმა ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების III ეროვნულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და იმერეთის რეგიონის პირველი ტური წარმატებით გაიარა. გუნდი ორივე კატეგორიაში საკმაოდ მაღალი შეფასებით გადავიდა მეორე ტურში, რომელიც გაიმართა თბილისში 7-9 მაისს და კონკურსის შედეგები უახლოეს მომავალში იქნება ცნობილი.

მარიამ შარვაშიაძე

## საკვირაო სკოლა

საქართველო უძველესი კულტურის მატარებელი ქვეყანაა, განთქმული თავისი ბუნებითა და ტრადიციებით. საქართველოს სხვადასხვა კუთხე თავისი განსხვავებული კულტურით გამოირჩეოდა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მრავალი მათგანი უკვე მივიწყებულა მიეცა. მაგალითად: ხალხური რენვა, ქარგვა, ქსოვა, თექაზე და ფარდაზე მუშაობა... ისტორიულად ქართველ ქალს ყოველი მათგანი უნდა სცოდნოდა და შეილებსთვისაც ესწავლებინა.

სწორედ ამ საქმის გამგრძელებელია

ფერსათში ღვთისმშობლის ტაძართან არსებული საკვირაო სკოლა. იგი არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision Georgia“-ს მიერ 5 წლის წინ იქნა დაარსებული და მრავალი თაობა აღზარდა. საკვირაო სკოლაში ყოველ კვირას ტარდება საღვთისმეტყველო და ხელსაქმის გაკვეთილები. ამჟამად აქ ორმოცამდე ბავშვი ეცნობა და სწავლობს მივიწყებულ ტრადიციებს. საკვირაო სკოლის დაარსებაში World Vision-ის გარდა დიდი წვლილი მიუძღვის მამა დიმიტრი ჯანგულაშვილსა და მის მეუღლეს-მარინა



გრძელებს. ისინი მუხლჩაუხრელად შრომობენ საკვირაო სკოლის ფუნქციონირებისთვის. საღვთისმეტყველო გაკვეთილებზე მამა დიმიტრი ხშირად გვესწრება, უამრავ რჩევას გვაძლევს, გვიყვება უფლის ცხოვრებისა და ქრისტიანობის შესახებ. მარინა მასწავლებელი, ძალიან თბილი და მოსიყვარულე ადამიანი, ბევრ ენერჯის ხარჯავს იმისთვის, რომ მივიწყებული რენვის სახეობები გვასწავლოს და შეგვაყვაროს. იგი დიდ სტიმულს გვაძლევს, ყოველთვის მხარში გვიდგას და გვამხნეებს. მამა დიმიტრი და მარინა მასწავლებელი ამ საქმეს დიდი სიყვარულითა და მონღო-მებით აკეთებენ, თანაც სრულიად უსასყიდლოდ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო მათ დაულაღვი შრომის, თბილი და მოსიყვარულე დამოკიდებულებისა და ამდენი რამის სწავლისათვის.

ხშირად გვაქვს ჩვენი ნამუშევრების გამოფენები, საზოგადოებას ხალხური რენვის მაგალითებს ვაცნობთ. მათგანაც ძალიან თბილი და საქებარი სიტყვები მოდის, უხარიათ, რომ ქართული კულტურა კვლავ გრძელდება და მნიშვნელობას არ კარგავს.

ანა ეშუტიძე,  
ფერსათის №2 საჯარო  
სკოლის მოსწავლე



Anna pkhaladze photography

\*\*\*

მოლაშქრეთა კლუბ „დიდმაღალის“ ორგანიზებით, 13 მაისს ბაღდათში „ველომარათონი“ ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღეს ბაღდათის ახალგაზრდა ველომოყვარულებმა. მისი მიზანი ახალგაზრდა თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია იყო. მრბოლელებმა სტარტი დიშის ცენტრიდან აიღეს და 3300 მეტრის დაფარვით ფინიშის ხაზი ზედა დიშის ხიდთან დაასრულეს. მარათონში 8 ველომოყვარულმა მიიღო მონაწილეობა. პირველ სამ გამარჯვებულს – ლუკა ენდელაძეს, გიორგი გიორგიძესა და რამაზ მალაქელიძეს საჩუქრები ა. (ა). ი. პ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდის დირექტორმა – ნინო კვიციანიძემ გადასცა. ხოლო ბაღდათის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა – კახა გოგინაძემ გამარჯვებული თასით დააჯილდოვა.

ეს იყო პირველი პრეცედენტი და კლუბი მომავალშიც გეგმავს მსგავსი აქციების ჩატარებას. ველომარათონის უსაფრთხოდ ჩატარებაში კლუბ „დიდმაღალს“ დახმარება გაუწიეს ბაღდათის პოლიციისა და სპორტული სკოლის თანამშრომლებმა.



## სტაჟირების სერტიფიკატი

საქართველოში 2014 წლიდან ეტაპობრივად ხორციელდება სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა, რომლის ძირითადი მიზანია საჯარო დაწესებულებაში დასაქმების მსურველ პირთათვის პროფესიული გამოცდილების შექმნის შესაძლებლობის შექმნა და სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის საჯარო მოსამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ნორმებისა და სტანდარტების გაზიარება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის სტაჟიორად გასული წლის 10 ნოემბერს იონა ჭუმბაძე დაინიშნა 6 თვის ვადით, 2016 წლის 11 ნოემბრიდან 2017 წლის 10 მაისის ჩათვლით. მას მიცემული ჰქონდა სასწავლო თემატიკა, გარკვეული დავალებები, სწავლობდა მუნიციპალური ქონების განკარგვის წესს, მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის ხედვებისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების პროცესში, ასევე აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სახის პროექტის შემუშავების პროცესში, ყოველივე ამან მას ჩამოუყალიბა პროფესიული გამოცდილების შექმნისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მიეწოდა ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობის შესახებ. იონა ჭუმბაძემ წარმატებით გაიარა ექვსთვიანი სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა. იონა ჭუმბაძეს, ქონების მართვის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მირიან ფულარიანის წარდგინებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ გოგსაძემ საზეიმო ვითარებაში გადასცა სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.



\*\*\*

ქუთაისში დასრულდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური ტური, ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარებული ფინალური შეხვედრების დასრულებისთანავე გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა. კვარცხლბეკზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის ორი სკოლის გუნდი ავიდა. ქალაქ ბაღდათის მეორე საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა (მწვრთნელები გივი გელხვიძე და დარეჯან ფურცელაძე) 3X3 კალათბურთის ფინალში ქუთაისის გუნდს არაფერი დაუთმო და მიუხედავად დამატებით დროში დამარცხებისა, მაყურებლები-

## სპორტი

უმასპინძლა. სპორტის ამ ოლიმპიურ სახეობაში ასპარეზობები საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. გამარჯვება, როგორც გოგონებში, ასევე ვაჟებში ქუთაისის გუნდმა მოიპოვა. გამარჯვებული სპორტსმენები და ბაღდათის გოგონათა ბადმინტონის გუნდი ბაღდათის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ ბაღდათელი ემიგრანტის ზაზა სულამანიძის დაწესებული პრიზებით დაჯილდოვდნენ.



\*\*\*

სა და სპეციალისტების დიდი მონაწილეობა დაიმსახურა. მესამე ადგილი დაიკავა გერმანიაში დიშის პირველი საჯარო სკოლის ვაჟთა გუნდმა (მწვრთნელი ავთანდილ გურგენიძე). გამარჯვებულები თასებითა და მედლებით იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ რობაქიძემ და ქალაქ ქუთაისის მერმა შოთა მურდულიამ დააჯილდოვეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის“ ბადმინტონის რეგიონალურ ტურნირს ვაჟებსა და გოგონებში ბაღდათის №2 საჯარო სკოლამ

ბაღდათის საჭადრაკო სკოლის მოსწავლემ ლადო მალაქელიძემ საქართველოს ჩემპიონატში (8-დან 13-წლამდე ასაკში) მიიღო მონაწილეობა და 10-წლამდე ვაჟებში პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა. იგი ავგისტოში რუმინეთში ევროპის ჩემპიონატზე მიიღებს მონაწილეობას. მესამე საპრიზო ადგილი 12-წლამდე გოგონებში ლადოს დამ რუსუდან მალაქელიძემ დაიკავა და რუმინეთში ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობის ლიცენზია მოიპოვა. აღნიშნულ ჩემპიონატზე მონაწილეობის საგზური ლილე გუმბერიძემაც მოიპოვა.

# შ ა შ ა ა ნ ე რ ი ა

საქველმოქმედო ორგანიზაციის „ჩეხოს სახლის“ დამფუძნებლის, ამერიკაში მცხოვრები ნინო ჩეხოშვილის თაოსნობით, ბაღდათის ვ. მაიაკოვსკის სახელობის მუზეუმში გაიმართა მამა ანდრეასადმი (ყურაშვილი) მიძღვნილი საღამო. ჩვენი კუთხის შვილს, აფხაზეთში მონაშენებრივად აღსრულებულ ბერ-მონაზონს, მამა ანდრეას 3 აპრილს 51 წელი შეუსრულდებოდა. ტკვილიანი მოგონებებით გაჯერებულ საღამოს დასაწყისში ნაჩვენები იქნა კომანის ტრაგედიაზე შექმნილი ფილმი „ხიდი“, შემდეგ მამა ანდრეას ღვანლზე და გმირობაზე ის-



აუბრეს მისი თავგანწირვის უშუალო მხილველმა მანანა ანუამ; ავტორმა დოკუმენტალური რომანისა – „მანანა ანუა, ტყვეობის ორმოცდაათორმეტი დღე“ – შორენა ლებანიძემ, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე ანტონმა და სხვებმა. შორენა ლებანიძის მართლაც არაჩვეულებრივი ნაწარმოები კი საჩუქრად დაურიგდა საღამოზე მონაშენებელ საზოგადოებას და აქვე უნდა აღვნიშნოთ, აფხაზურ ენაზე ნათარგმნიც.

საღამოს დაწყებამდე, ეპარქიის ტაძარში აღესრულა მამა ანდრეას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი.

ქვემოთ გთავაზობთ რობერტ მესხის წერილს, მწერლისა, რომელმაც თავისი ბაღდათში სტუმრობით პატივი მიაგო მამა ანდრეას ხსოვნას და ჩვენც გაგვიზიარა ბაღდათში ნანახი და განცდილი.

ჩვეულებრივ, თარიღით იწყებენ ხოლმე, რომ ამა და ამ დღეს ესა და ეს გაიმართა, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი თარიღი და არც ეს შეხვედრა იყო რიგითი.

3 აპრილს, მამა ანდრეას (ყურაშვილის) დაბადების დღეზე, თბილისიდან დავიძარი და მის მშობლიურ იმერეთში, ბაღდათში ჩავედით.

სასწაული აპრილი დაგვიხვდა, ხასხასა, ათასი ფერით მოხატულ-მოგვირისტებული... შორენა ლებანიძის კონტრასტული პასაჟი მახსენდება მისივე წიგნიდან + „მანანა ანუა + ტყვეობის 52 დღე“... ოღონდ იქ კომანის გაზაფხულია, კომანის, რომლის იდილიურ ყოფას ჭურვების ზრიალი არ ღვევს, რომლის ზურმუხტისფერი სამოსიც რამდენიმე თვეა ცხელი ტყვიებით იფლითება... ახლა მანანა ანუა მანქანაში ზის, ჩვეულებრივზე მეტად მერიდება... შორენას წიგნს რომ ვკითხულობდი, მაშინაც მერიდებოდა!.. რიგითი შეხვედრა არ იყო-მეთქი, ზემოთ რომ ვთქვი, რიგითი რანაირად იქნებოდა?! მანანა მამა ანდრეას დედას – ქალბატონ ლამარა ჭელიძეს უნდა შეხვედეს მისივე სახლში, იმ სახლში, სადაც მამა ანდრეამ თავის და-ძმებთან ერთად ბავშვობა გაატარა... მერე იყო უფლის ძახილი, მღვდლის სამოსი, სხალთის მონასტერი, მერე აფხაზეთი, კომანი, ომი და მონაშენებრივი სიკვდილი... ნარცისები ილიმებიან ყურაშვილების ეზოში, მტრედეები სხდებიან დენის მავთულებზე, თეთრი რიკულების ჩრდილები სკოლაშენი ასაკის ბავშვებით ჩამორბიან კიბეებზე... ქალბატონი ლამარა გვეგებება...

ეს არ არის რიგითი შეგებება – ჭალათში მისი დედა გამოდის და ჩვენ, ყველანი,



მისი შვილები ვართ, იმ ცხრა შვილთან ერთად, რომელიც სამშობლოს აღუზარდა...

მამა ანდრეას ოთახშიც აპრილია... ძველებური ფარდაგები და ბევრი სინათლე!.. მისაღებ ოთახში უამრავი ხატი, ჩარჩოში ჩასმულ ფოტოზე (მაგიდაზე კიდევ საოჯახო ფოტოალბომია) კომანის ტაძრის წინამძღვარი სრულიად ახალგაზრდაა, 27 წლის... ასეთად დარჩება ის მომავალშიც!.. კედელზე მისივე შესამოსელია, რომელსაც ტყვეობაში მანანა ანუა ჩაიცვამს და შემდეგ თვითონვე ჩამოიტანს ბაღდათში... ცირა მასპინძელია, პურიც არის და ღვინოც – ყველაფერი ნაკურთხი!..

ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში ვინაცვლებთ. ხალხმრავლობაა ეზოში, დარბაზშიც... აუდიტორია მონუსხულივით უყურებს დოკუმენტურ ფილმს „ხიდი“, რომელშიც მანანა ანუა მამა ანდრეასა და მამამისზე – იური (გიორგი) ანუაზე, კომანის ტაძრის აღმდგენელზე საუბრობს. მასაც არ დაინდობს ომის მსახვრალი ხელი – ტაძრის აღმდგენელსა და ქართულ-აფხაზური მეგობრობისთვის მლოცველს მისივე კეთილმონყოილ წმინდა ვასილისკოს წყაროსთან აწამებენ... მძიმეა, რა თქმა უნდა!.. დარბაზის რეაქციაც შესაბამისი – ქალბატონებს ცხვირსახოცები ჩაუბლუჯავთ, კაცები ბოლთას სცემენ ბოლო რიგებში!.. მამა ანდრეას ცხოვრებაზე, მის მონაშენებრივ აღსასრულზე, შორენა ლებანიძის (ან უკვე აფხაზურადაც ნათარგმნ და გამოცემულ) წიგნზე საუბრობენ გამომსვლელები – სტუმრები თუ მასპინძლები... მამა ანდრეასვე მიემართება დღევანდელი ღონისძიების დამფინანსებლის, ემიგრანტი ქართველის ნინო ჩეხოშვილის სიტყვები, რომელიც დარბაზის



ერთ-ერთ სვეტზე იკითხება: „მამა ანდრეას პიროვნებას ძალიან ახლოდან გავიცანი, არა მხოლოდ როგორც წმინდა მონაშენი, არამედ როგორც სათუთ ადამიანს, ზნეობრივი და ადამიანური ფასეულობების დამცველს, ზნეობრივი სიყვარულით დაჯილდოებულს, უდრეკს. მას მერე ეს წიგნი ჩემს სასთუმალს არ მოშორებია. მამა ანდრეა თითქოს ჩემი მფარველი გახდა, მრჩეველი...“

მეც იგივე განცდამ გამომაცვილა ბაღდათიდან, ამ ლამაზი და სულიერებით აღსავსე ღონისძიებიდან, კინოეკრანზე აღბეჭდილმა უძირო მზერამ და მანანა ანუას იმედიანმა ხმამ გამომაცვილა, რომ ღვთის შეწვევითა და მამა ანდრეას ლოცვით, ქართულ-აფხაზური „ვარადა“ კომანშიც გაიულერებს!..

რობერტ მესხი

## ვლადიმერ მაიაკოვსკი – იან კუპალა: მუზეუმების დამეგობრება

2017 წლის 13 აპრილი განსაკუთრებული იყო ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმისა და ზოგადად ბაღდათის ცხოვრებაში, რადგან ჩვენთან იმყოფებოდნენ სტუმრები ბელორუსიდან, მათი სახალხო პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, იან კუპალას მუზეუმის თანამშრომლები, კერძოდ – მუზეუმის დირექტორი ელენა ლასკოვიჩი, კულტურულ ღონისძიებათა განყოფილების ხელმძღვანელი ოლგა პარხომოვიჩი და ბელორუსის ელჩი საქართველოში ოლეგ გოროშკოვიჩი. მათ ჩვენი მუზეუმის საგამოფენო დარბაზში თანამედროვე მოძრავი საექსპოზიციო საშუალებების დახმარებით დამსწრე საზოგადოებას გააცვენეს იან კუპალას ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები და მისი შემოქმედება, ნაკითხული იქნა საინტერესო თარგმანები ბელორუსი ხელოვანის შემოქმედებიდან.

ბაღდათში მყოფ სტუმრებს სამი დღის მანძილზე მეგობრობას უწევდა მუნიცი-

პალიტიკის გამგეობის ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი გია ხორავა, მან სტუმრებს დაათვალიერებინა ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობანი, მათზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შუქრი ნაკაშიძის კერძო მუზეუმში დაცულმა ქართული იარაღის უნიკალურმა კოლექციამ.

ბაღდათის მუნიციპალიტიკის გამგეობის დახმარებით და გვერდით დგომით სტუმრების პატივსაცემად გამართული იქნა ძალიან კარგი მუსიკალურ-ლიტერატურული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ბაღდათის ფოლკლორული ანსამბლი სულიკო ვეფხვაძის ხელმძღვანელობით და ცეკვის ქორეოგრაფიული ანსამბლები ზვირა ლომიძის თავკაცობით, მაიაკოვსკის მუზეუმის შემომდებელი ვკუნი.

ღონისძიებას უძღვებოდნენ მუზეუმის მეცნიერთანამშრომელი კონსტანტინე კიკნაძე და სტუმარი მარინა ქუთათელაძე.



როგორც ცნობილია, იან კუპალა გასული საუკუნის 30-იან წლებში არაერთგზის სტუმრობდა საქართველოს და განსაკუთრებით ხშირად იმყოფებოდა წყალტუბოში. მას ძალიან კარგი ურთიერთობა და მეგობრობა აკავშირებდა ბევრ ადგილობრივ პიროვნებასთან. საყოველთაოდ ცნობილია მისი სიყვარული წყალტუბოში მომუშავე ექიმ ელიკო მენტიხელთან, რომელიც მისი შემოქმედების მუზა გახდა და მას არაერთი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა.

ზოგადად, იან კუპალას შემოქმედებაში საკმაოდ ღირებული და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს თემას, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სიმბოლურიც კია ჩვენი ორი მუზეუმის დამეგობრება, ღონისძიების ბოლოს ხელი მოეწერა მეგობრანდუმს, რომლითაც გათვალისწინებულია ორი მუზეუმის ხუთწლიანი თანამშრომლობის პერსპექტივა კულტურული ღონისძიებების მონაწილასა და სამუზეუმო საქმიანობაში გამოცდილების გაზიარების მიზნით. იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული თანამშრომლობა ინტენსიურ და ნაყოფიერ ხასიათს მიიღებს სამომავლოდ და კიდევ უფრო გააღრმავებს ორი ერის ურთიერთსიყვარულსა და მეგობრობას.

ვ.ვ. მაიაკოვსკის სახელობის მუზეუმის მენეჯერი ბექა კუჭუხიძე

### მშობლიური სიტყვა

იან კუპალა სიტყვავ ძლიერო, მშობლიურო, შენ სიტყვავ ჩემო, ცხადში და ძილში ერთმანეთთან

ვათენებთ ღამეს, შენს მელოდიას, სულს რო მსჭვალავს, სულ სხვა აქვს გემო და რეკავს ჩემში სულ სხვანაირ სიმღერის ზარებს.

სიტყვავ უკვდავო, მშობლიურო უკვდავო სიტყვავ, მადევრებიდან დაისხენი ბევრჯერ შენი ხმა. გადებდნენ ხუნდებს – ბორკილები ატარე დიდხანს, მაგრამ ამაოდ – მტრის ჯინაზე ახლაც მღერისარ.

თავისუფალო, მშობლიურო, ძვირფასო სიტყვავ! იმღერე უფრო ხელგაშლილმა, მხნედ და ხალისით. გებრძოლონ წლებმა, ყვავ-ყორნებმაც თავთავის გითხრან, მაინც იცოცხლებ შენი ქ ქვეყნის გასახარისად.

დევნილო სიტყვავ, ახლობელო, სიტყვავ მშობელო, დედამინიდან ამოზრდილო უცეცხლოდ, უფროოდ. თუნდაც ღარიბო, თუნდაც მკაცრო, სამადლობელო შენ, შენ გეკუთვნის აღმატებულ ენებზეც უფრო.

თარგმნეს ზაალ ებანოიძემ და კონსტანტინე კიკნაძემ

მოლაშქრეთა კლუბი „დიდმაღალი“ ჯერ ერთი წლისაა არაა, თუმცა უკვე მდიდარი ისტორია აქვს, რომელიც საქართველოს სხვადასხვა მხარეში 8 გასვლითა და ბალდათის მუნიციპალიტეტის უმაღლესი მწვერვალის დალაშქრითა თუ ისტორიული ადგილებზე 7 გასვლით გვირგვინდება. გადაგვივლია, მთაც, ტყეც, ღრეც და ბევრი კლდეც, ვისწავლეთ, შევიცანით და გავიცანით საქართველოს ულამაზესი ადგილები (მესტია, რაჭა, ხვამლი, დავით გარეჯი,

## „გაიცანი ბალდათი“

მცხეთა, ჭიათურა...) ლაშქრობებში „დაგვიგემოვნება“ შიმშილიც, ტკივილიც, ბედის მუხთლობაც და გამართლებაც.

ახალი სეზონი ახალი მიზნებით განვაახლეთ და მუნიციპალიტეტის იმ კუთხეთა გაცოცხლება დაგვიწყებდა, რომლის არსებობაც ბევრს არც სმენია.

დავინწყეთ პროექტი „გაიცანი ბალდათი“,

წამოწყებისთანავე ბევრმა აგვიბა მხარი, ბევრის სასიამოვნოდ გაოცებაც და ინტერესიც გამოვიჩინეთ.

პროექტის საფუძველი ის გახლავთ, რომ ბალდათელ ახალგაზრდებს მისივე კუთხის ბუნებრივი თუ ხელოვნური ძეგლები ვაჩვენოთ. საქმე ისაა, რომ უმეტესობას არ გაუგია და, შესაბამისად, არ უნახავს ბალდათური ბუნების საოცრება „ქვასყადარა“, არ იციან სად არის ნაღება, არც კი სმენიათ ხანის უნი-

კალურ სანახელსა და ასევე „ოქროს ჩანჩქერზე“, რომელი ერთი ჩამოვთვალა...

„გაიცანი ბალდათი“-ს ფარგლებში უკვე მოვანწყვეთ 4 ტური. მოვინახულეთ გოთიეთში მდებარე ზამთარში მძვინვარე და ზაფხულში მძინარე ულამაზესი ჩანჩქერი, რომელიც ერთ დიდ სანახაობად გადაიშლება.

სოფელი ნებიერთი, რომელიც ზღვის დონიდან 800 მეტრზე მდებარეობს, სოფელი მდიდარია ისტორიითა და ულამაზესი ბუნებით, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის (სულ 4 ოჯახი) სტუმართმოყვარეობა გულს გაგიტობთ. სოფლიდან სალაშქრო ბილიკებით შეგიძლიათ სულ იოლად გადახვიდეთ ბერიეთის მონასტერში, კაკასხიდსა თუ სოფელ ხანში.

აქამდე უცნობი და მხოლოდ ადგილობრივთათვის ცნობილი ნითელხევის ვანი-განის ეკლესია. ტაძრის ძირძველ კედელს „ბებერი“ ლეღვის ხისა და მისი ფესვების გარდა საყრდენი არ გააჩნია. დღემდე შემორჩენილი ტაძრის ფრესკების მცირე ნაწილი. ტაძრის ადგილმდებარეობა ულამაზეს ბუნების გამოა არის ჩასმული, რომლის ნახვა რეალობას წყვეტს ადამიანს.

პროექტს არ ჩაუვლია ჩვენთვის ფაგორიტ სოფელ ხანის გარეშე. ყოველ ასვლაზე სოფელი უფრო და უფრო გვაოცებს. ხანი მდიდარია ბუნებრივი თუ ხელოვნური ძეგლებით. ჩამონათვალშია გულაშვანის ხე-

ლოვნურად გაშენებული ტყე პარკი, სადაც XX საუკუნის 70-იან წლებში 33 წინწვანი ხის სხვადასხვა ჯიშის ხე დაურგავთ, რათა იმ პერიოდში გავრცელებული ხის ავამდმყოფობა დაეძლიათ, დღემდე შემორჩენილი 30 ჯიშის წინწვანი ხეების ტყე-პარკი. ხანის „ოქროს ჩანჩქერი“ და მის სამხრეთით, ქვის უზარმაზარ ლოდში გამოჭედილი სამგანყოფილებიანი სანახელი. ლაშქრობების პარალელურად ვიღებთ ვიდეო რგოლებს და ვაკეთებთ სალაშქრო ბილიკების მონიშვნა-მარკირებას იმ ადგილების პოპულარიზაციისთვის, რომლებიც გავიარეთ და რასაც ვთავაზობთ არა მხოლოდ ბალდათელებს, არამედ ჩვენი კუთხის გაცნობისა და ნახვის მსურველებს.

კლუბი „დიდმაღალი“-ს მამოძრავებელი და მაცოცხლებელი ყოველთვის იყო და არის ის, რის გამოც დამფუძნებლებმა (გიორგი გეგეშიძე, დავით ყიფიანი და ანა ფხალაძე) კლუბი შეექმნით – ახალგაზრდა თაობისთვის ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია. ბევრი გაგვილია და ბევრსაც გავიღებთ მათთვის, ვისაც სურს შეიცნოს ბუნება, შეიცნოს და „გაიცნოს ბალდათი“. პროექტი „გაიცანი ბალდათი“ გრძელდება და ჩვენც ბევრი საინტერესო ადგილისა და ძეგლების მონახულებას ვაპირებთ.

იყავით აქტიური თქვენც! თავლი ადვენთ ჩვენს ფისბუქ გვერდს **Club didmaghali** და ტურის დაინტერესების შემთხვევაში დაგვიკავშირდით, ან დაგვირეკეთ ნომერზე **598 35 34 73**.

ანა ფხალაძე




კაკასხიდის გამოქვაბული მდებარეობს ქ. ბალდათიდან მე-18 კმ-ზე, სოფ. კაკასხიდის დასავლეთით, ნასოფლარ საფრითისაკენ მიმავალი სამანქანო გზის სიახლოვეს (400-500 მ). ვინრო შესასვლელიანი ბუნებრივი მღვიმეა. შედგება მაგარი, კლდოვანი ქანებისაგან; მშრალია და კედლებზე მხოლოდ რამდენიმე ადგილზე ჟონავს წყალი, ისიც შესასვლელთან ახლოს.

გამოქვაბულის პირველი მონაკვეთის სიგრძე 35-40 მეტრია, სიმაღლე 4 მეტრამდე, სიგანე 2,5-3 მ. გამოქვაბულის ბოლოს, ვინრო შესასვლელით შედიხართ 3-4 მ სიმაღლის, დაახლოებით 25-30 კვ.მ მღვიმეში, რომლის კედლებშიც რამდენიმე ნაპრალია, სადაც შეიძლება შესვლა და არ არის გამორიცხული იქ სხვა ერთმანეთთან დაკავშირებული მღვიმეებიც აღმოჩნდეს.

გამოქვაბული არ არის დახშული და როგორც სჩანს, ჰაერის ცირკულაცია ამ ნაპრალების მეშვეობით ხდება. კაკასხიდის გამოქვაბულის არსებობა ახლო-მახლო სოფლების: ხანის, ზეკარის, კაკასხიდისა და ალისმერეთის მოსახლეობისათვის ძველი დროიდანვე იყო ცნობილი. 1987-1988 წლებში, მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკ „ალისმერეთში“ დირექტორად მუშაობის დროს, ამავე ბანაკის ფიზკულტურის მასწავლებელ ფრიდონ მსხვილიძისაგან გავიგეთ ამ მღვიმის არსებობა. ამის შემდეგ 2 წლის მანძილზე, მღვიმე ბანაკის თანამშრომლებთან ერ-

## კაკასხიდის გამოქვაბული



თად 300 მეტრა უფროსკლასელმა მოსწავლემ მოინახულა. კაკასხიდის გამოქვაბული სხვადასხვა წლებში ასევე აქვთ ნანახი ბალდათის მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს, რისი ამსახველი მრავალი ფოტო და ვიდეო მასალა არსებობს. გამოქვაბულის მარცხენა კედელზე შესასვლელიდან 20 მეტრში, ცარცით მიწერილი იყო 2 წარწერა: „ნიქურა 1901 წელი“ და „ტერენტი ნატრიაშვილი 1931 წ. თებერვალი“ (ახლა ეს წარწერები ნაშლილია).

როგორც მერე დავადგინეთ, ტერენტი ნატრიაშვილი სოფელ ხანის მკვიდრი ყოფილა და კაკასხიდის გამოქვაბულში საბჭოთა ხელისუფლებას ემალეობდა ერთი, თუ ორი თვე.

2016 წელს კაკასხიდის გამოქვაბული შესწავლის მიზნით ნახა თბილისიდან ჩამოსულმა სპელეოლოგებმა, რომელთაც მეგზურობას უწევდა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი დვალაშვილი. მათი აზრით კაკასხიდის

გამოქვაბული შესაძლებელია მომავალში ტურიზმისათვის მიმზიდველ ობიექტად გადაიქცეს.

საინტერესოა ისიც, რომ კაკასხიდის გამოქვაბულიდან სამხრეთით 3-4 კმ-ში, არსებობდა დიდი სოფელი საფრითი (საფრითი), რომელიც ჯერ კიდევ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან (1579 წ), მას შემდეგ, რაც დაარსდა ახალციხის საფაშო, ნასოფლარი გახდა თურქების გამუდმებული თარეშის შედეგად. დღეს ეს ნასოფლარი (მდებარეობს კურორტ ზეკარის ჩრდილოეთით 2-3 კმ-ში), თითქმის მთლიანად გატყვევებულია, მაგრამ მოუხედავად ამისა, ახლაც კი, წარმოადგენს ერთგვარ „ლია ეთნოგრაფიულ მუზეუმს“ (ზეკარის ხეობის სხვა ნასოფლარების მსგავსად), სადაც დაინტერესებულმა პირებმა აქ, ზედაპირული დათვალიერების დროსაც კი, შეიძლება ნახონ ნასახლართა ჯერ კიდევ ნაშუალო ნაშთები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.


კურორტ ზეკართან სიახლოვისა და აქაური გარემოს საოცარი პანორამული სილამაზის გამო, შეიძლება კაკასხიდის გამოქვაბული და ნასოფლარი საფრითი ტურისტებისათვის მიმზიდველ და საინტერესო ობიექტებად გადაიქცეს.

ზურაბ თოლორდავა


## არქეოლოგიური „დაზვიერვა“ დიშნას სიხეზე

„დიშნას ციხე“-ს ისტორიულ მნიშვნელობასა და ბალდათის მუნიციპალიტეტისთვის მის ფასეულობაზე კარგა ხანია მიდის ლაპარაკი. სოფელ ზედა დიშნაში მდებარე ამ უძველესი ციხის ნანგრევები და მისი შემოგარენი უპირველესად განმედიტი სამუშაოების ჩატარებასა და არქეოლოგიურ კვლევას საჭიროებს. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა – 14 მაისს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მონაწილეობით (უფროსი კახა გოგნაძე) „დიშნას ციხე“ მოინახულეს კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მმართველმა როლანდ ისაკაძემ და სააგენტოს სპეციალისტებმა. კახა გოგნაძესთან ერთად სტუმრებს მეგ-

ზურობას უწევდა ბალდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ზურაბ თოლორდავა, რომელიც კარგად იცნობს „დიშნას ციხეს“ ისტორიას და ამასწინათ ისტორიული ნარკვევი – „მეფე ფარნავაზის მოღვაწეობა და დიშნას ციხე“ – გამოაქვეყნა. პირველადი, არქეოლოგიური დაზვერვის შემდეგ გამოიკვეთა მომავალში განსახორციელებელი აუცილებელი სამუშაოების გეგმაც – პირველ რიგში ტერიტორიის განმედიტი არქეოლოგთა მეთვალყურეობით, საამისოდ კი ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის სურვილი და კულტურული პროგრამებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიდან რესურსის გამოძებნა საჭირო. არქეოლოგები კი მზად არიან უკვე შემოდგომიდან შეუდგნენ სამუშაოების დაწყებას.



რედაქციის  
სვეტი



ბრძ-  
რეკლი



ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ინფორმაციის,  
ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი  
საქართველო, ბაღდათი, რუსთაველის ქ. №68  
ტელ: 595 538 536; 595 452 803  
ელ ფოსტა: sainformacioturizmi@gmail.com

რედაქტორი სოსო ხობორიძე  
„ჩვენი გაზეთის“ გუნდი:  
ანა ქორიძე, მარინა ოქროჭელიძე,  
ანეელინა ჭავჭავაძე,  
ანა ფხალაძე

გაზეთი დაკავალდა  
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ  
დაიბეჭდა  
შ.პ.ს. „პოლორში“